

# მწყემსი

გაზეთის  
მეურნეობა



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი, დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
მავლე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიზარულსა ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მთვლით ჩემდა ყოველნი მაშურაინი და ტვირთამბიშენი და მე განგისვენით თქვენ. მათ. 11—28.

№ 8

1883—1900

30. აპრილი


## გოლგოთათაჲ.

დასასრული 1)

შეკრული მაცხოვარი პირველად მიიყვანეს ანნა მღვდელ-მთავართან, რომელსაც, როგორც სიმამრს კიაფა მღვდელ-მთავრისას, დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა მმართველ-გამგებობის საქმეებში. ანნამ დაუწყო ქრისტეს გამოკითხვა მის სწავლასა და მოწოდებების შესახებ. ამ გამოკითხვით ანნას ის კი არ სურდა, რომ მსწრაფლად შეეტყო მოძღვრება იესო ქრისტესი, იგი ცდილობდა, მის პასუხში მოენახა ისეთი რამ, რითაც შემდეგ გაემტყუნებია იგი, უნდოდა შეეტყო მის მოწოდება რიცხვი და მერე

სურდა წარედგინა ქრისტე, როგორც ამბობებელი ხალხისა და მთავრობის მტერი. უფალო, რომელმაც კარგად უწყობდა ყველა საიღუმლო აზრები ცბიერი მღვდელ-მთავრისა, მიუგო მას: შე განცხადებულად ვეტყვადი სოფელსა, და შე მარადის გასწავებდი შესკრებულს და ტაძარს შინა, სხვა იგი უფულად ვერაინა შეკრებან, სიღო ფარულად არა არას ვეტყვადი. რას შეითსავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რას განსწავებდი მათ: აჰ, ამით იცინან, რას იგი ვეტყვადი მათ (იოან. 18, 20). იესოს ამ მშვიდობიანმა პასუხმა, რომელშიაც ასე ცხადად გამოიხატა ნამდვილი სიმართლე და უმანკოება მისი, ჩააჩუმა მღვდელ-მთავარი. მაგრამ ერთმა მოსამსახურეთანმა, რომელსაც სურდა ესაიამოვნებია და სამსახური გაეწია თავისი ბატონისათვის, საწყენად მიიღო იესო ქრისტეს თითქო თავებდი პასუხი და ამიტომ შემოჰკრა მაცხო-

\*] ახ. „მწყემსი“ № 7, 1900 წ.



ვარს ყვრილობაზე, და თან უთხრა: „ესრეთ სიტყვას უგება მღვდელ-მთავარსა?“ რომ შთაუფროვნებლად არ დაეტოვებინა ეს პირმოთენე მოსამსახურე, უფლობა მშვიდლად მიუგო მას: უკეთუ ბოროტსა ვერტყდა, წაქეზე ბოროტისთვის, უკეთუ კეთილს, რასათვის შეგე? ამ თავმდაბალი პასუხით გულთამხილველმა ამხილა ერთის მხრით ცუდაცობა და პირმოთენება მოსამსახურისა, ხოლო მეორეს მხრით ურიგო საქციელი მღვდელ-მთავრის და ყველა მეთუფროსეთა, რომელთაც თავისი ავსაყური განზრახულება სურდათ დაეფარათ ვითრად მართლ-მსაჯულების სიყვარულობით. თქვენ, თითქო ასე ეუბნება მათ უფალი, შემიპატიო მე, როგორც მძიმე დამნაშავე, თქვენ მამხილებთ მე, ვითომ მე ხალხს ვამბობხვედ, წინააღმდეგი ვიყო მთავრობისა, იარღვევდ კანონთა; მაგრამ იგივე კანონები, რომელთა დაცვისათვის თქვენ ასე ზრუნავთ, ითხოვენ, რომ უტყუარი საბუთებით ცხადთ იქნეს დამტკიცებული დამნაშაობა თითოეული დამნაშავისა, საქმის მიუდგომელი განხილვით და არა ძალდატანებით, რომელიც ცხადზე უცხადესად მოწმობს თქვენს უპართლოებას და ჩემს უმანკივებს. მსაჯულნი ამორებულნი უნდა იყვნენ ყოველივე მრისხანებას და ვნებათა; მათ გულდასმით და მიუდგომლად უნდა განიხილონ საქმე, და სამსაჯულოში ადგილი არ უნდა აქენდეს ძალმომრეობას და არავითარ შეურაცხებას ბრალდებულისას. მაგრამ ამპარტავან მღვდელ-მთავარს ხმა არ ამოუღია ამ მხილებაზე. ანანამ მაცხოვარი ვაგზავნა კაიფასთან, რომლის სახლში სიჩქარით შეიკრბა სინედრონი, რათა განასამართლონ ქრისტე. ამ მსაჯულების ერთი შეხედვად კაცს დარწმუნებდა, თუ რა მოელოდა მათგან ბრალდებულ ქრისტეს. მსაჯულნი ცდილობდნენ გარეგანად კანონიერ ნიდაღზე დაეყენებიათ მხილება ქრისტესი და ამიტომ ცდილობდნენ მოენახათ მოწმები ქრისტეს წინააღმდეგ, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი; თუმცა მრავალი ცრუ მოწმენი მონახეს, მაგრამ მათი ჩვენებები საქმონი არ შეიქმნა. არც ერთ მხილებაზე უფალი არაფერ პასუხს არ იძლეოდა. ასეთმა სიჩუმემ მაცხოვრისამ, რომელიც ხმა მიღო ამხილება უპართლო მსაჯულთა სინდას, ძლიერ აღაშფოთა მსაჯულთა თავმოყვარება. და აი კაიფა წამოდგა თავის ადგილიდან, გამოვიდა შუა ადგილზე, სადაც იესო იდგა და მრისხანეთ წარმოსთქვა: არა

რას მიუგებს? ნუ თუ არ გესმის, რას ესე შეგწამებ შენ?

მაგრამ მღვდელ-მთავრის კითხვაზედაც პასუხი არ გაუცია უფალს. ამ პასუხის გაუცემლობამ კიდევ უფრო გაბარბაზა მღვდელ-მთავარი, ვინაიდან ქრისტეს სიჩუმე აშკარად და ცხადად უჩვენებდა მათ რომ მათ კითხვებზე პასუხის გაცემა არა ღირდა, ვინაიდან მათ წინაწინვე დადგენილი ჰქონდათ, თუ რა მსჯავრი უნდა დაედგინათ იესოს შესახებ, არ ღირდა პასუხის გაცემა, ვინაიდან მათ სამსაჯულოს მართო გარეგანი სახე ჰქონდა სამსაჯულოსი, თორემ მათი კრება წარმოადგენდა ავსანათა ბრბოს. ამიტომაც გულთამხილველი არ აძლევს მათ პასუხს. ამშინ კაიფა, რომ რამე პასუხი მიეღო ქრისტესაგან, ხმარობს მღვდელ-მთავრისადმი მინიჭებულ უფლებას, ე. ი. ჰკითხავს იესოს ფიც-ქვეშ. ასეთ კითხვაზე არ შეიძლება პასუხის გაუცემლობა, ვინაიდან ეს დაამტკიცებდა ფიცის უარის ყოფას, უპატივემულობას მღვდელ-მთავრისას და სჯულისას. გაფრთხილებს დამთმის ცხადებას, რათა მითხრას ჩვენ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, ქე დამთმის? კაიფა შეეკითხა იესოს თითქოს დიდის კაძილურებით. მე, მიუგო უფალმა, უფრო მომეტებულს გეტყვით: ამიერიდან ისილმთ ქე კაცისა მჯადმარე მარჯვენით ძღაქრებსას და მომავალი დრუბელთა თან ცისათა (მათ. 26, 63—64). მალე თით საქმენი გირვენებენ თქვენ, რომ მე ის დიდებული მეფე ვარ, რომელიც, წინასწარმეტყველის დანიელის აღწერილობისაებრ, ზის ღრუბელთა ზედა მარჯვენით მამისათანა... (დან. 7, 14).

დიდის სიხარულით მოისმინა ეს პასუხი კაიფამ. მაგრამ ბოროტმა და პირმოთენემ დაჰუარა თავისი სიხარული; თითქო საშინელი ღვთის გმობა ესმა, იგი ვითომ მოთმინებისაგან გამოიყვანა ასეთმა სიტყვებმა, რომელნიც ჯერეთ მის ყურთ არა სმენია, და უზომო მწუხარებისა და მღვდლავრების ნიშნად შემოიხია ტანთსაკველი. გესმისთ თუ არა თქვენ, რაც მან სთქვა? დაიყვია კაიფამ, მიუბრუნდა რა მსაჯულთ. ის ცხადად გმობს ღმერთსა, რასდა გვისმან მოწამენი? აჰა ესეა, გვესმს გმობა მავსი. რა გნაუთ თქვენ? ყველა მსაჯულებმა, რომელთაც კაიფასთან ერთად თითქო რაღაც თავზარი დავცათო, მიუგეს: თანამდე არს სიკვდალისა. როცა სამსაჯულოს წევრებმა თავის ბოროტ მიზანს მიღწიეს, წავიდ-წამო-



ვიდნენ, რომ ცოტა-ხნის შემდეგ ხელახლად შეკრებილიყვნენ და საბოლოოდ დამტკიცებით სასიკვდილნი განაჩენენ, ხოლო იესო გადააკეს მცველებს, რომელთაც გამოიყენეს ის მღვდელ-მთავრის ეზოში.

მღვდელ-მთავრების მოსამსახურეთა თავგდება ბრბომ, რომლის შეკავება ვერავის შეეძლო, თითქო თავის მოვლოვობად ჩათვალა შეურაცხება მიეყენებია იმ კაცისათვის, რომელიც, მათის აზრით, მტერი იყო მათი უფროსებისა. და რა საოცარ ზომამდე მიადწია ამ პირთა ცულდაცობამ! იგინი გაძალებით ცდილობდნენ სხვა და სხვა ახალი წვადება და შეურაცხება მიეყენონ იმ კაცს, რომელსაც არასდროს არაფრით არ უწყენინებია მათთვის, რომელსაც, შეიძლება, ბევრი მათგანი კიდევცერ იცნობდნენ! მაგრამ ასეთია, სამწუხაროდ, კაცთა ზნე-ჩვეულებანი. ვინც მიჩვეულია თავი დაიმდაბლოს, იპირმოთენოს, სამსახური გაუწიოს უფროსთა, რომელნიც პირველობით მშვიდი და პატივისმცემელი არიან ძლიერთა, საზოგადოდ ასეთი პირნი მეტისმეტად უზრდელად, თავხედად და ამაყად ექცევიან მათზე უნკროსთ; იგინი ცდილობენ, რომ თავიანთი თავი დაისაქურონ უფროსთა წინაშე თავიანთი თავის დამცირებით. ასეთი პირნი რაღაცა ვაუტებრად, უაზრად, სიბოროტით და თან სიხარულით დასცილიან მათ, რომელნიც მათზე სუსტნი არიან, რომელნიც, საუბედუროდ, მათ ჩაუვარდათ ხელში. და აი მღვდელ-მთავრების შეუბრალებელი მოსამსახურენი, რომელნიც სიბოროტით და ავკაცობით თავიანთ ბატონებს არ ჩამოუდგებოდნენ, „ნერწყვიდნენ პირსა იესოსა, და კურთითა სცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყურბილსა მსცემდეს და მტყოდნენ: გვიწინასწარმეტყველ ჩვენ, ქრისტე; ვინ არს, რომელმან გვა შენ?“ რა საჭირო იყო ასეთი ლანძღვა-ვიწყება? ამბობს წმ. ოქროპირი. განა იმისთვის, რომ დავინახოთ მათი თავხედი ზნე-ჩვეულებანი? მართლაც, თითქო რაღაც დავლა ნახეს და მათ აღტაცებას საზღვარი აღარ აქვს. სრულებით აღარ ზოგავენ იმ პირს, რომლისაც ზღვას ეშინოდა და რომლისგან მზემ, როცა იხილა იგი ჯვარზე, დამალა თვისი სხივები, იგინი კი ამ პირს ნერწყვიდნენ, ყურებს უწყვიდნენ და სცემდნენ თავზე, თითქო მათ წინაშე იდგა ყოვლად უპატიოსნო კაცი.

აი რა მოხდა ამ უსჯულლო მსჯავრისა და ვარდაწყვეტილების შემდეგ, ამბობს წმ. ტიხონი ზაღონსკი. ნერწყვიდენ, ყურებს უწყვიდენ, სცემენ, დასცილიან და ლანძღვენ იესოს... ვინ არის იგი? ძე ღვთისა, საუკუნო სიტყვა ღვთისა, რომლის წინაშე კრძალოვით დგანან ქერაბინნი და სერაფიმნი! ვინ შეურაცხებს მას? მისივე ქმნილება, რომლის საცხონებლად მოვიდა იგი; მისი ხალხი, რომელთაც მისცა სჯული და წინასწარმეტყველნი. ვისთვის ხდება ყოველივე ეს? ვინ არის იგი ასეთი პატიოსანი, ასეთი ძვირფასი, რომ ღმერთი განხორციელებული ასე შეურაცხყოფილ და ვნებულ იქმნა? თავისი წარწყმედილი ქმნილებისათვის, უზომო ცოდვილისათვის. ამაში დამნაშავე ვართ ჩვენ, კაცნი, ჩვენ დაღუპულნი. ჩვენს მაგიერ ინერწყვება, ყურებს უწყვიდენ, სცემენ და შეურაცხებას აყენებენ, ჩვენ მაგიერ იხდის ვალს მოწყალე მხსნელი ჩვენი და შემქმელი. ჩვენ და ჩვენს წინაპრებს, ადამს და ვვას, გვსურდა გაღმერთება, და ღვთაებრავი დიდება გვსურდა მოგვეტაცნა, როგორც ავაზაკთ, ამისათვის ღირსი ვიყავით, როგორც ღვთის მგომბნი, საუკუნო სიკვდილისა, დაცინვისა და ცემისა ეშმაკისა და მის ბოროტ ანგელოსთა მიერ. ჩვენ შეგვეფერის დავიფაროთ პირი მართლ-მსაჯული ღვთის წინაშე, სირცხვილით ვსდგეთ და აღვიაროთ ჩვენი დამნაშაობა შემდეგი სიტყვებით: შენ, უფალო, სიბოროტე, ჩვენ კი შერცხვენა პირთა (დან. 9, 7). მაგრამ ძე ღვთისა ითმენს ამ სასჯელს; იგი ჩვენ მაგიერ ინერწყვება, ილანძღება, იცემება, რომ ჩვენ მოგვანიჭოს უფლება, რათა ძედ ღვთისად ვიწოდნეთ, გაბედულად მიუხალოვდეთ ზეციურ მამას და გამოჩინებული და შეურაცხვენილი პირით ვცუტქობოდეთ მის ყოვლად წმიდა პირის სახეს.



### მწიწი ფიქრები სოფლის სუცასა.



ილი ხანია, ვაკირდებით და თვალს ვადევნებთ შობის და აღდგომის დღეებში გამოსულ სასულიერო და საერო ჟურნალ-გაზეთების ნომრებს. სასულიერო ჟურნალებში, რასაკვირველია, შესაფერ სტატიებს სწერენ დღესასწაულების გამო. საერო ჟურნალ-გაზეთებშიც წაჰბაძეს, რასაკვირველია, სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს და მოჰყვენ თავისებურად მსჯელობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ვაჰბატონებმა არ იციან საღმრთო წერილი, არ იციან ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, არ ესმით ჩვენი სარწმუნოების უმთავრესი დოღმატები და ასე არაა რათ აღქურვილი სწერენ, რაც ენაზე მიაღდგებათ; აღბათ სურთ გაზეთის თუ ჟურნალის ნომრები გაავსონ როგორმე და ნაწყრის სიმართლეს და საფუძვლიანობას არ დაგიდევნენ. ჩვენი საერო ჟურნალ-გაზეთების ცნაწურაუც ხომ ისეთია, რომ თუ მთავრობის წინააღმდეგი არა არის-რა დაწერილი სტატიაში, ძლიერ აღვილოდ იძლევა ნებას. ავიღოთ, მაგალითებრ, „ივერიის“ ამ წლის სააღდგომო ნომერი. მაგრამ ჩვენს მაგიერ თვითონ „ივერია“ გველაპარაკოს. აი, როგორ ესმის ამ გაზეთს და როგორ მოგვითხრობს იგი ზეთის ხილის, გეთსამანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას:

„ღიან, ეს იყო „იესო რაბბი“, როგორც თვითებრაელები ეძახდნენ, იესო რაბი, მკურნალი სნეულთა და მხსნელი დავრდამილთა. ერთის წუთის შემდეგ მის ვარშემო შეიკრიბა რამდენიმე ასი მლოცავი. ერთი მეწვრილმანე ებრაელი ჩუმად მიუახლოვდა იესოს და შეეხო მისს კალთას. ეს ის მეწვრილმანე აკოსტა იყო, რომელიც დღე და ღამეს სულ იმის ზრუნვაში ატარებდა, რომ როგორმე გამდიდრებულიყო და ეგონა, იესოს კალთის მიკარების შემდეგ ჩემი დახლი თავისდა თავად აივსებაო. ეს არ გამოეპარა მის მეზობელ ხანანს და სიშურიით ის უფრო ზედ აეკრა რაბბის, მაგრამ უმრავლესობა-კი მოუთმენლად მოელოდა კვლავ გაეგონათ იესოსაგან გულის სახიხი და ტანჯულ სულის აღმაფრთოვანებელი სიტყვა...

მთელს ღამეს სინაგოგაში არ მეწყვეტილა ლაპარაკი. ერთი არჩეედნენ ხალხის ჩუმად მოელოთ ბოლო იესოსათვის, მეორენი ამტიკებდნენ: საქიროა თვით ერის წინ მოეუსპოთ სიციცხლეო. „აჩით მთელს ურიასტანს ვიყიდიოა! დიძახა სიბომ და მოხსნა თავისს მონას ვერცხლით სავსე პარკი. მაროლაც, იმის დანახავზე თვით სინაგოგის წევრებმა ჩაუწყდათ ხმა და იგრძნეს, რომ ყველაზედ მომეტებულ შემწუბობას ისევ ვერცხლი გაუწვედათ. იმ დამესველ მრავალი ოქრო იქნა გაფანტული იერუსალიმის სხვა და სხვა კუთხეში, როგორც მოწყალეობა იეგოვასი, რომელიც ვითომდა ებრაელთაგან სამაგიეროდ მორჩილებას თხოულობდა. უპარველესი ჯილდო შეხედა იუდა ისკარიოტელს, რომელსაც უნდა ეჩვენებინა მათთვის, სად იქნებოდა იესო იმ ღამეს, როდესაც დაჰყრას უპირებდნენ...

ვათენდა მეორე დღე. იერუსალიმის ტაძარს თანდათან უფრო ემატებოდა მლოცველი, ურიასტანის სხვა და სხვა მხრიდან ჩამოსული პასექის დღესასწაულზედ დასასწრებლად. აქამდე ამაყნი და მიუკარებელნი ფარისევლები ეხლა გაფაციკებით დაძვრებოდნენ ხალხში და იწვედნენ ხვალინდელ დღისათვის პონტოელ პილატესთან, სადაც ერთის საშინელის ავაზაკისათვის სასჯელი უნდა გადაეწყვიტათ. იესო რაბბი ამ დღეს განუშორებლივ თვისს მოწაფეებთან იყო და ასწავებდა. ხოლო საღამო ხანს იგი ჩვეულებრივ გაემართა მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის მთისკენ, რომლის კალთებზედაც გადაქიმილი იყო გეთსამანიის ბაღი. მან ერთ ყვავილნარ კარდის ძირს დასტოვა თვისი მოწაფენი და თვითონ ბაღის ზევითა მხარეს წავიდა. აქ ერთის ტინიდან გამოიწუნებდა პაწია წყარო და მისი ხმა ვერცხლის წკრიალსავით ისმოდა მიჩუმებულს არემარეში.

მთავრის შუქი ძლივს ატანდა დაბურულ ხის შტოებს და აქა-იქ ნათელით ჰფერავდა ჩრდილოთა შორის ნამიან მწვანეს. ხოლო თვით ზეთის ხილის მთის წვერი ისე გადმოხრილიყო თვისის უზარმაზარის ხეებით, თითქოს უნდოდა ჩახეხენა შიგ და გაეგო: რა ხდებოდა ამ მიწყნარებულ შეენიერ ბაღში. სადაც ბურქში ბუღბუღი უსტვენდა. მისი ხმა ხან ნახი იყო, როგორც უმანკო სიყვარული, ხან ათრთოლებული და ხან კი მიწყნარებული, მიმშვიდებული, სევდიანს, თითქოს თან მოჰქონდა



უბედურთა ცრემლები და ნამდ აპკურებდა ცელქ ნიავის საარსიყო მწვანე ფოთლებს.

აი, ამ ადვილს შესდგა იესო რაბბი, მიიხედ- მოიხედა და შემდეგ წყნარად დაეშვა მოცქრილვე წყაროს პირს. ღრმა ფიქრებში იყო გართული.— გაფითრებული ტუჩები ერთმანეთს დაკროდა და მისი მტრედის ფერი თვალები შორის, შორის სად- ლაც გაიციქრებოდა. აფერ, სწორათ მის ზურგთან ჩაიკასკასა მოუსვენარმა ბუღბუღმა, რაბბი შეკრთა, მერე კვლავ ჩაფიქრდა და ერთის წუთის შემდეგ მისი ღიძრონი თვალები ცრემლებით აივსო. იგი პირქვე დაემხო. «მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმებდინ ჩემგან სასუფელი ესე!» იმეორებდა ის. კარგა ხანს იყო რაბბი ასე პირქვე დამ- ხობილი და სთხოვდა ღმერთს ასცდნოდა მას გან- საცდელი. ბევრის მღელვარების შემდეგ მან თავი მალა აიღო, მიეყრდო ტინს და თვალები დახუჭა. მთვარემ უკვე შეიმაღლაურა და გეთსამანიის ბლი ახლა უფრო თვალწარმტაცს და გულის მომხიბლავს სურათს წარმოადგენდა. მის ძირს იერუსალიმი იყო გაქიმული თვისის შესანიშნავის უზამამზარის ტაძ- რით. სანთლის შუქი მხოლოდ აქა-იქ-ლა მოსჩანდა. მისწყდა ფეხის ხმაც.

მხოლოდ გამალებულის ნაბიჯით გეთსამანიის ბალისკენ მიემუტრებოდა ათითორმეტი შეიარაღ- ბული კაცი.

იესო დიდხანს იყო ისევ ისე მიყრდნობილი ტინზედ, როდესაც იმის პირდაპირ ბუჩქებიდგან გამოჩნდა ვიდაცას აჩრდილი. ის ხან ამოჰყოფდა თავს ზეთის ხილის პატარა შტოებში, მიიხედ-მოი- ხედავდა აქეთ-იქით და ხან კი ისევ ჩაიმკლებოდა, აჩრდილი შემდეგ ფეხაქრფით წაოვიდა იესოსკენ და გაჩერდა მის წინ. ეს იყო შევნიერი, ლერწა- მივთ მოსული ახალგაზდა ქალი, მან სასოებით აღზნებული თვალები დააშტერა რაბბის და შემდეგ მოწიწებით ეანბორა მისს განიერ შუბლს. იესო შეკრთა, წამოიწია და რა დანახა თვისის წინ თა- ვისი საყვარელი მოწაფე, გაიღიმა. ეს იყო სიბიტოს ერთად ერთი ასული, იესოს საიდუმლო მოსავე და მოწაფე. რებბეკა, ასე ეძახდნენ ამ ქალს, იღვა თვისის მოძღვრის წინაშე და ვერა ბედავდა ხმის ამოდებას, მაგრამ რაბბიმ გადაუსო მას ხშირს თმა- ზედ ხელი და მით ანიშნა ეთქვა, რის გამკლავებელ სწავლა მოძღვრისათვის. რებბეკას ცრემლები ყელ-

ში ებჯინებოდა, ბაგენი უთრთებოდა და ხმა უწყ- დებოდა, მაგრამ მინც უამბო იესოს, რაც კი თვისს მამის სახლში გაეგონა ამ ორის დღის განმავლობაში. როგორც იყო დათავა ქალმა სიტყვა, მოეხვია მუხლებზედ იესოს და რამდენიმე ჩქარის ნაბიჯით მიეფარა ისევე ბუჩქებს.

იესო ხმა ამოუღებლად, წყნარად წავიდა იქ, სადაც მას მოწაფეები ელოდებოდნენ. ხოლო ერთი მათგანი არ იყო მათ შორის. «აღსდგით, ნუ გძი- ნათ, უთხრა მან მოწაფეებს, მოახლოებულ არს ეამი იგი!» მოწაფეებმა ვერ მოასწრეს ეკითხნათ იესოსთვის, რას ნიშნავდა ეს სიტყვები, რომ რამ- დენიმე შეიარაღებული კაცი წამოადგათ თავზე...

... გათენდა წითელი პარასკევი... კვლავ გა- იღვიძა ქალაქმა, კვლავ ამოძრავდა იერუსალიმის ქუჩები. ხვალ დიდი დღესასწაული იყო ებრაელებს და ლოცვითა და მარხულობით იწმინდებოდნენ, რომ პირნათლად შეეგებოდნენ პასქეს. გოლ- გოთას მთის ძირას აუარებული ხალხი მოსჩანდა, ყველანი მთისკენ მიემუტრებოდნენ, ხოლო ხანდახან შესდგებოდნენ ხოლმე და ამ დროს იმათი სიცილ- ხარხარი ახმაურებდა მიდამოს. ესენი დასციროდნენ ერთს წელში მოხრილს ქაბუქს, რომელსაც დიდი ხის ჯვარი ეკიდა ზურგზედ, და რადგანაც ვერა ზიდავდა, ხშირად დაეცემოდა ხოლმე პირქვე ტვირთს ქვეშ. ყოველი მისი მწარე გმინვა ხალხში სასიამოვნო სიცილ-ხარხარს იწვევდა. ეს იყო იესო, რომელსაც წამების ჯვარი მიჰქონდა გოლგოთას მთა- ზედ...

მწერალს დიდი მაცადინობა გამოუჩენია, რომ თავის მოთხრობაში შევნიერად დაესურათებინა ხე- ივნებიც, წყაროებიც, ბუღბუღებიც და სხვა მომ- ლერალი ფირნელებიც გაუჩენია გეთსამანიის ბაღში, მაგრამ რაიცა შეეხება სახარების ისტორიულ მო- თხრობას, იმაში კი ძლიერ კოჭლობს და ისეთ რა- მებებს უმატებს, რომლის მიმატება უადვილო, უჯე- რო და შეუძლებელია. შეიძლება ავტორმა გვითხ- რას, რომ ასე სწერენ რუსულ ენაზე ან სხვა უცხო ენაზეო, მაგრამ ეს არ არის თავის გამართლება. რამდენ სისულელეს სწერენ უცხო ენებზედ, ვინ მოსთვლის?!



# ჩემი თავ-ვადსავალი.

(გაკრძელება\*)



ასწავლებელმა პირველად მომცა დასასწავლად შემდეგი რუსული ასოები: ა, ბ, ვ, გ, დ, ე, ზ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, რ, ს, თ, ჯ, ზ, ი, ი, კ, ლ, მ, ნ, ო. თავი დავეუკარი მასწავლებელს და ჩემს ადგილზე წავიდე. ერთმა მოსწავლემ მასწავლა ამ ასოების გამოთქმა. ვაკვეთილი მალე დავისწავლე და აიე ვკითხულობდი: ა, ბე, ვე, ლე, დე, ე, ჟე, ზე, ი, კე, ლე, მე, ნე, ო. ასე გათავდა ჩემი პირველი გაკვეთილი. მეორე დღეს მივედი სკოლაში და სხვებთან ერთად მეც წაიკითხე ჩემი გაკვეთილი. მასწავლებელმა მომიწონა და მერე შემდეგი ასოები მომცა დასასწავლად. მეორე გაკვეთილიც პირველი გაკვეთილისამებრ შევისწავლე. მე გაკვეთილები მეცოტავებოდა და თხოვნას ვაპირებდი, რომ მასწავლებელს უფრო მომეტებული გაკვეთილები მოეცა ჩემთვის. მაგრამ ამხანაგებმა მითხრეს: «არ უთხრა მეტი გაკვეთილის მოცემა, თორემ გაგროზავასო». მეც გაფიქრდი. თურმე მატყუებდნენ. ზოგს ჩემს ამხანაგებს სწავლა გზარებოდათ, მკირე გაკვეთილებსაც ვერ სწავლობდნენ და არ სურდათ, რომ სხვას გაეცურა მათთვის. ერთ კლასში ოთხმოცი მოსწავლე ვიყავით და თითოეულს მოსწავფეს თავისი საკუთარი გაკვეთილი ჰქონდა. მასწავლებელი წაიკითხავდა გაკვეთილს და მერე თითო დაადებდა და იტყოდა: აქედან აქნობამდე დაისწავლეთო. შაგირდებიც თვითონ დაისწავლიდნენ, მეორე დღეს სხვა გაკვეთილს წიშნავდა და ამ ნაირად მიდიოდა სწავლის საქმე. არაერთარი აღსნა და განმარტება გაკვეთილისა არ იყო. მასწავლებელიც ძლიერ სუსტი იყო და სწავლება არ შეეძლო. მასწავლებელს ხშირად ძილი მოდიოდა ხოლმე კლასში. ერთ დროს მან თავი დადვა სტოლზე და ისე გუნებებრად ჩაეძინა, რომ ხერინი ამოუშვა. მაგიდის გვერდზე აუარებელი შაგირდები იდგნენ გაკვეთილების წასაკითხად. უცბად კლასში შემოვიდა რექტორი. ასე ეძახდნენ იმ დროს ოთხ კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველებს, გაიარ-გამოიარა კლასში და მაგიდის სიახლოვეს გაჩერდა. მასწავლებელი ხერინავდა.

—გააღვიძეთ მასწავლებელი, გვითხრა რექტორმა. მაგრამ ვერაინ ბედავდა მის გაღვიძებას. ბოლოს ერთმა მოსწავლე თავადიშვილმა მაჭუტაძემ გაბედა, მივიდა მასწავლებელთან და დაუწყო ლეიგება. მასწავლებელმა გაიღვიძა, ერთი კარგად გააზრორა, მაგრამ ამ დროს უცბად შეხედა რექტორს და, ვაი იმ შეხედვას, იმან რომ დასანახი დანახა! იგი წამოვარდა ზეზე და მუნჯივით დადგა რექტორის წინ მთლად ათრთოლებული და ფერმიხდილი. ყველა შაგირდებს გაგვიკვირდა მასწავლებლის ამისთანა მდგომარეობა. რექტორმა რაღაცა რუსულად უთხრა მასწავლებელს და თავის ბინაზე წავიდა.

მართალია მასწავლებელს ძილი მოდიოდა კლასში, რაღვან რაღაც უბედური მეტოლი ჰქონდა შემოღებული სწავლებისა, მაგრამ ჩვენს გაქირვებასაც არ იკითხავთ?.. როგორც ზევითაც მოვიხსენეთ, კლასში 80 მოსწავლე ვიყავით და თითოეულს შაგირდს სულ სხვა და სხვა გაკვეთილი ჰქონდა მიცემული. თითოეულს თავისი გაკვეთილის წაიკითხვა თუ ეხალისებოდა, თორემ სხვისას რას დაეძებდით და კიდევ რომ ყური გვეგდო, რას ვაივებდით?

ნაღდგომეგს ხმა გავრცელდა, რომ რევიზორი მოდიოდა. შეიძრა მთელი სასწავლებელი. სწავლა დილითაც გვექონდა და ზოგიერთი არჩეულ შაგირდებს საღამომითაც. თითო კლასიდან რევიზორისათვის საგანგებოდ რვა-ათ მოსწავლეს გვაშაზდებდნენ. პირველ კლასში გამოგვიცხადეს: „რევიზორმა“ რომ რუსულად გკითხოსთ, თქვენც რუსულად უნდა მიუგოთო“. დაგვაწირეს კიდევ დასაზებრებლად შემდეგი კითხვა-მიგება:

- 1) კითხვა: Чей ты сынъ?
- მიგება: Священнической.
- 2) კითხვა: Сколько тебе лѣтъ?
- მიგება: Мнѣ 9 лѣтъ.
- 3) კითხვა: Что ты знаешь?
- მიგება: Я знаю читать и писать по русски и по грузински.
- 4) კითხვა: Понимаешь?
- მიგება: Понимаю.
- 5) Знаешь?
- მიგება: Знаю.

ეს ხუთი კითხვა და მიგება პირველ კლასში დავიწვირეთ. გაიარა ერთმა კვირამ და კიდევ მოზბრძანდა რევიზორი. ერთ კლასში მოაწყვეს ყველა-

\* იხ „მწვენილი“ № 5, 1900 წ.



ფერი, იქ შებრძანდა რევიზორი და ყველა მასწავლებლები რექტორითურთ. პირველად შეოთხე კლასის მოსწავლეები შეიყვანეს და შემდეგ რიგ-რიგობით სხვა კლასის აღრჩეული მოსწავლეები. მოახლოვდა რიგი ჩვენზე. შეგვიყვანეს პირველი კლასის მოწაფეები. რევიზორმა მე მომაქცია ყურადღება: ალბათ გაუკვირდა, რომ პირველი კლასის პატარა ბავშვში ასეთი დიდი კაცი დამინახა. გაიძახეს ერთი მოსწავლე. რევიზორმა ჰკითხა რაღაცა ამ მოსწავლეს და შევირდმა რუსულად მიამახა: „მე მღვდლის შვილი ვარ! კიდეც ჰკითხა რაღაცა რევიზორმა, შევირდმა მიამახა: „მე ცხრა წლის ვარ!“ რევიზორს გაეცინა და რექტორს რაღაცა უთხრა. მოსწავლემ მიამახა: „მე ვიცი წერა-კითხვა რუსულად და ქართულად“. რევიზორმა და ყველა მასწავლებლებმა დაიწყეს სიცილი. რევიზორმა იკადრა და ქართულად უთხრა მოსწავლეს: „მე ყველაფერი გკადრნია, კარგა, წადიო და შევირდიც ასე გამარჯვებული წამოვიდა!..“

მოვიდა ჩემი გაყვანის რიგი. გავედი და დავდექი მაგიდასთან. რევიზორმა ჰკითხა: „А ЧТО ТЫ ЗНАЕШЬ?“ მაშინვე მივაყოლე, რაც მიგება მქონდა დასწავლილი. რევიზორმა გაიციინა და მითხრა, საჭირო აღარ არის, კმარაო. მე გახარებული გამობრუნებხს ვაზიზებდი, მაგრამ თანაც ვსწუხდი, რომ სხვა კითხვებიც არ მომცეს. ამ დროს რექტორმა დაუწყაო რაღაცეა ლაპარაკი რევიზორს და მერე ინსპექტორს უთხარეს ცოტა გულმოსულად რაღაცაები. ინსპექტორი მობრუნდა და ჰკითხა: **ПОНИМАЕШЬ?** მე ვუთხარი: **ПОНИМАЮ**-მეთქი. ამის შემდეგ რექტორი თითის ქნევით რაღაცას დამიმუქრა და გამომიშვეს.

ყველანი გადავრჩით მშვილობით. გავიდენ კლასიდან ყველა უფროსები, დარჩა მარტო ინსპექტორი, მომიბრუნდა იგი და წყრობით მითხრა:

— ვინ დასცი, ბიჭო, შენ გუშინ, რომ ზეზე ვეღარ წამოვდა დიდ ხანამდე?!

— არავინ, ბატონო, მიგუგე მე. ჩემ სიცოცხლეში მე არავის არ შევკიდებია.

— რექტორმა რომ სთქვა შენზე, მითხრა ინსპექტორმა, რომ ვიღაცა დასცა გუშინ ისე ძლიერ, რომ ძლივს ააყენეს დაცემული მოსწავლე და მერე დამალულიყავი, თორემ გაროზგვას ვერ გადურჩებოდაო. შენ რატომ არა უთხარი რა, რომ მე არავინ დამიცოცხლო?

— ბატონო, მე არ მესმოდა, რაღაცას ისინი ლაპარაკობდენ. მე არასოდეს არავის შევკიდებია, თორემ ამა ერთი ვინმე თუ იტყვის, რომ მე ვისთვისმე რამე დამეწავებოდა. მოახდინეს გამოძიება და სულ ტყველი ცილის წამება აღმოჩნდა, რასაც შეწამებოდენ.


გათავდა ჩვეულებრივი გამოცდაც და რევიზორმა; შევირდები დასაჩუქრეს კარგი ყოველცევისა და სწავლისათვის. მეც შემხვდა საჩუქარი. საჩუქარად მომცეს ერთი **„Вольн. экономич. Общества“**. ამ ჟურნალის პირველ ფურცელზე ასე ეწერა: ეს წიგნი ეძლევა საჩუქრად კარგი ყოველცევისა და კარგი სწავლისათვის ამა და ამ მოსწავლესო. ძნელად წარმოადგენს კაცი იმ სიხარულს, როგორი სიხარულიც ამ უბრალო საჩუქარმა დაბადა ჩემში. მერემ იმ დროს, როცა შინ წასასვლელად დავგვითხოვეს. წიგნები და ეს საჩუქარი გაეხვეი კარგად, მოვიკიდე ჩანთა ზურგზე და გამოვივდექი მინისკენ ზუსს. მეორე დღეს მივედი შინ და მამას მივახარე ჩემი დასაჩუქრება. მამას ძლიერ იამა ეს ამბავი და სერიოზულად მითხრა: „შვილო, იცოდე ყოველთვის, რომ ვე შენი დასაჩუქრება და გამარჯვება ღვთის საქმეა. ღმერთი შეგწვეია და იმას უნდა შესწირო მადლობა, იმას უნდა შეხვეწყო ეკლესიაში, რომ ყველაფერში გაგამარჯვებოხს ხოლმე. ხელო სანთელი აუნთე ხატს ეკლესიაში. მეორე დღე კვირა იყო და ნაწირვებს მამამ პარაკლისი გარდაიხადა ჩემთვის. პარაკლისის ამბავი გაიგეს გლეხებმაც და ყველა მილოცავდა გამარჯვებას. ამნაირად ჩემი სიხარული გაორკეცდა. ასე გათავდა პირველი წელიწადი. ესლა მე მეორე კლასის მოწაფედ ვითვლებოდი და უფრო პატივი მქონდა, ვინემ პირველი კლასის მოწაფეს.

პირველი და მეორე კლასის ოთახები ფიცრის კედლით იყოფოდა, იმიტომ რასაც ლაპარაკობდენ მეორე კლასში, ყველაფერი გვესმოდა. მეორე კლასში მასწავლებლად იყო დ. მიქ-შვილი. არ შეიძლებოდა, რომ ამ მასწავლებელს ხუთი-ექვსი მოწაფე არ გაეროზგა დღეში. განსვენება აღარ იყო აყვირებული და აწიავებული მოწაფეებისაგან. როცა გული წაუვიდოდა გასაროზგად წაყვანილ მოწაფეს, მხოლოდ მაშინ გაანებებინებდა თავს როზგს. წინა დღით გაროზგვილ მოწაფეს თუ მეორე დღეს გაკვეთილი არ ეცოდინებოდა, როზგს ხელმეზღვდაც



სცემდა. მეორე კლასის ერთ მოსწავლეს ვჭიოხებ, თუ რატომ როზგავდნენ მოწაფეებს ასე ხშირად და აი რა მითხრა: მან: „რომ გავვიყუანს მასწავლებელი, აღარ ვიცი, სად ვართ. რაც უნდა კარგად ვიცოდეთ გავკეთო, ყველაფერი გვაეწიყდება იმ დროს და ვკანკალივთ; შეგცდებოდა თუ არა ერთი სიტყვა, გათვალა, დაიძახებდა როზგო, მოგვეარღებინა, წავაქცევინ, სამი თავზე დაგვაწიყება და სამი-ოთხი — ფეხებზე და დაგვიშენენ როზგს. ჩვენს უცოდველესი ძალი არ არის. მასწავლებელს უხარია, როცა დაგიბნევით ხოლმე და სიცილით დაიძახებს: „როზგი მაგასო“. თუ მაგრად არ დაგვარტყა როზგი „პალაჩმა“ (\*), იმასაც გაროზგავს და ამიტომ გვირტყამენ, რაც ძალი და ღონე აქვს!“...

კარგი და სასიამოვნო იყო მეორე კლასში გადასვლა, მაგრამ ეს გარემოება იცო მაშინებდა, მაგრამ, მალეობა ღმერთს, სექტემბრის თვეში ჩვენ ის მასწავლებელი აღარ დაგვხვდებოდა, უკვე დაეთხოვათ. მის მაგიერ დაენიშნათ მასწავლებლად გ. დეკ — ძე, რომელიც, როგორც მასწავლებელი, კარგი იყო და კეთილი გულიც ჰქონდა.



**შესანიშნავი სასტუმრო.**

(მითხრობა)

დასასრული \*)

თუმცა ყოველივე ბლომად იყო ამ სასტუმროში, მაგრამ ყმაწვილის გასაოცრად იქვე ბლომად იყო ურიცხვი საწყალი, ჩამოღლებილი, მშვიერი ხალხი, რომელნიც შურით უტყქეროდნენ ამ შეენიერად გამართულს სტოლგებს, რომელთაც უსხდნენ სტუმრები. ეს ლატავნი ხშირად შეთხოვდნენ ხოლმე სტუმართ ლუკმა-პურს.

განა ესენიც ისეთივე სტუმრები არ არიან, როგორც სხვები? ჰკითხა ყმაწვილმა მოზუს და ხელი გაიშვირა ამ საცოდავებზე.

დაიხ! ესენიც იმგვარივე სტუმრები არიან, მიუგო მოზუსმა, მაგრამ ხელავ, როგორ ექცვიან პირველნი მეორეთ? სახლის პატრონმა ჩააბარა ისინი ამ სტუმრებს და აი ხელავ, რას შვრებიან ისინი აქ?

—მაშ რატომ არ გაჰყრის ის აქედან ასეთ სტუმრებს? თქვა ყმაწვილმა:—რატომ აძლევს მათ ნებას იავაკონ აქ?

—ჩემო შვილო, იმას უყვარს თავისი სტუმრები; იმან იცის, რანაირი საშიშარი ღამეა, როგორი უსაშველო სიცივე და სიბნელე მოელის მათ ამ სახლის გარეთ და მას ეცოდება ეს უგუნურები; ვი ელის მათი ხასიათის გასწორებას.

მაშინ ყმაწვილს მოაგონდა, რაც თვითონ გამოსცავდა მინდორში და უნებურად ტანში გააფრიალა.

ოჰ, დაიხ! უთხრა მან მოზუს: ალბად ეცოდება ისინი. წავიდეთ მათთან და გავახსენოთ მათი მოვალეობა, რომელიც დაავალა მათ ამ სახლის პატრონმა და რა დავმართებთ მათ, თუ რომ ისინი არ გაისწორებენ ხასიათს და თვის მოვალეობას მტკიცედ არ აღასრულებენ.

—შენ გგონია, რომ იმთ არ იციან ეს, მიუგო მოზუსმა. ეთქვათ მოაგონე მათ მათი მოვალეობა, მოაგონე სახლის პატრონი; შეეწიე საწყლებს, მაგრამ აქ შენ შეგხვდება ბევრი დაბრკოლება. რომ შენ წარმოიდგინო ის, თუ რამდენად უყვარს სახლის პატრონს თვისი სტუმრები და როგორ სწუხს მათზე, მე ვიამბობ მას, რაც, მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინად. სახლის პატრონმა ნახა, რომ ავკაცობა საშინლად გავრცელდა, სტუმრები ცარცვენ და ხოცვენ ერთი მეორეს, ძლიერნი ავიწროებენ სუსტთ; ყველამ დაივიწყა სახლის პატრონი. მაშინ მეუფემ გამოგზავნა მათთან მხოლოდ შობალი ძე თვისი, რომ მას მოეგონებინა მათთვის მათი მოვალეობა და ეჩვენებინა მავალითი, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მათ. ძე მეუფესა მოვიდა აქ წყნარი სტუმრის სახით. ის არ დადიოდა გამოჩენილ და მდიართა კრებაში, არამედ ცხოვრებდა ღარიბ საზოგადოებაში, ეწეოდა საწყლებს, არჩენდა ავადმყოფებს, ასაზრდოებდა მშვირთ და ყველას ელაპარაკებოდა სახლის პატრონზე, სურდა ყველას დახსნა უბედურებისაგან. თავისი მოკლე აქმყოფობის დროს მას არც არაინ გაულანძლავს, არც არაგისთვის რამე

\*) იმ დროს „პალაჩმა“ იყო მეორე კლასის მოწაფე ბეკა მდ.—ხ.

\*) იხ. „მწიგნობარი“ 1899 წ. № 7.



წაურთმევია, პირიქით, შემწეობას აღძვედა ყველას, ვინც კი საჭიროებდა მის შემწეობას.

არც ყოფილა და არც იქნება აქ იმისთანა ვინმე, რომელსაც სახლის პატრონის შვილზე მშვიდით ეცხვოროს; ის ლაპარაკობდა მხოლოდ სიყვარულზე, უნდოდა ყველასი შერიგება და თვისი მამისადმი ყველას მიქცევა. როგორ ფიქრობ, რა უყვეს მას სტუმრებმა? იწყინეს მისი კანონიერი მიზლები, შეიკრიბნენ, შეიპყრეს და მოპკლეს მუუფის შვილი, მოპკლეს მისთვის, რომ ყოველის მფლობელი და პატრონი ცხოვრებდა გლახაკსავით, — იგი მოძულეს მისთვის, რომ ის შემწეობას აღძვედა ღარიბებს, და სურდა ყველანი დაეხსნა! როგორც ის იქცეოდა, ისე შენ არ შეგიძლია მოქცევა, ჩემო შვილო, მაგრამ ეცადე გააკეთო ყოველისფერი, რის გაკეთებასაც კი შეიძლება.

მოხუცის სიტყვები ღრმად ჩაუჯდა ყმაწვილს გულში. — მშვიდი სახე სახლის პატრონის შვილისა მუდამ თვალ წინ ედგა მას.

როცა დაეცა ღარიბობა, მოხუცებულთა, ბრძობა და გავრდომილთა საზოგადოებაში, ყმაწვილი ცდილობდა ყველასთვის მიეცა შემწეობა, რითაც შეეძლო! დიდხანს დაიარებოდა ის მოხუცებულთან ოთახიდან ოთახში, შემწეობას აღძვედა ღარიბებს, არიგებდა წაჩხუბებულთ, და უთითებდა სახლის უფროსზე მათ, რომელთაც დავიწყებული ჰყავდათ იგი. იყენენ იმისთანაებიც, რომელთაზედა იმაჟმედა ამ ყმაწვილის სიტყვებმა და მაგალითმა და ისინი მოიქცნენ, მაგრამ იყენენ იმისთანაებიც, რომელნიც არ ისმენდნენ ამ ყმაწვილის სიტყვებს და ეწინააღმდეგებოდნენ მას; ზოგნი ლანძღვიდნენ, ზოგნი დასცილდნენ მას; ამ სტუმრებში ერიგენ ისეთებიც, რომელთაც თითქმის ცემა დაუპირეს ყმაწვილს, — ასე გულისკლავად ვჩვენებოდათ მათ სიტყვა სიმაართლისა! მაგრამ როდესაც ყმაწვილი აწაირო ქვეყის წინააღმდეგ აღიარებოდა, მაშინ მოხუცი, რომელიც მას ერთ წამსაც არ სტოვებდა მართა, ხშირად მოაგონებდა მას მეუღლის შვილს, რომელიც, ყოველისფრის მებატრონე, ითმენდა დაიწინავს, ლანძღვას და ცემას, და სიკვდილიც კი დაითმინა იმათგან, რომელნიც სცხოვრობდნენ და რჩებოდნენ მამა მისის უხვი დოვლიათთა,

საშინელმა ხმაურობამ, რომელიც ერთ ოთახში

მოხდა, მიიქცია ყურადღება ყმაწვილისა და მისის ჰალარა მოგზაურისა. შეიხედეს იქ და ნახეს სისხლის ღვარა; შევნიერი სტოლი გადაებრუნებიათ; ნამტვრევი ღრმა საინებისა, ვერცხლის ჭურჭლებისა და ნაგლეგი ძვირფასის ყავილებისა ისრისებოდნენ მოჩხუბართა ფერხ ქვეშ; ზოგნი სტუმრები მამაცურად იბრძოდნენ; ზოგნი ეჭიდებოდნენ ერთი მეორეს თმაში, ზოგნი იკბინებოდნენ, როგორც მგლები, უმეტეს ნაწილს ხელში ეჭირათ დანები; იატაკზე რამდენიმე მკვდარი ეგდო და მრავალი დაჭრილები საბრძოლო ცოცხადნენ და შველას ეძიებდნენ. ყმაწვილს ფერი წაუვიდა, ეს სურათი რომ ნახა, მაგრამ ყველაზე უარესად შეაწუხა ყმაწვილი ერთი დედაკაცის სახემ, რომელიც, დარჩებულნი და თმებ გაშლილი, დახეულის და სისხლით დასვრილის ტანისამოსით, ცდილობდა გადაერჩინა თავისი შვილები და ისინიც ფერ-მიხილნი და აკანკალებულნი შიშით დედას მიპკოდნენ. უბედურმა დედამ რამდენჯერმე მოინდომა გაქცევა ოთახიდან, მაგრამ კარებთან იყო საშინაირი ჩხუბი; საწყლის თავზე ყოველ წამში ბრწყინავდნენ დანები და ის ყოველ წამს მოლოდა, რომ ვინმე გაქცულეტდა, ან და ყელს გამოჰკრიდა მის ძვირფას შვილებს. ის ხმაპალა უძახოდა სახლის პატრონს.

ყმაწვილს თითქო მოესმა: „წადი და დაიხსენი ის დედაკაციო“. ყმაწვილი დაუყოვნებლივ გაერია ხალხში და არ გრძობდა შემოკვრას, რომელიც მას ყოველის მხრით ხედებოდა, თითქმის ხელით გამოიყვანა საწყალი დედაკაცი და მისი ბაღლები. როდესაც ისინი მეორე ოთახში იყვნენ, მაშინ დედაკაცმა მუხლი მოიყარა, თავისი ბაღლები გულზე მიიკრა და ცრემლით მადლობა შესწირა ყმაწვილისა. მოხუცი თანამგზავრი ყმაწვილისა იქვე იყო და უყურებდა მას. ბოლოს აღერსიანად გაუცინა ყმაწვილს და უთხრა: „შენ გაათავე შენი საქმე, აწი დაიძინე მოსვენებით“. ამ წამში სტუდენტმა გულში ძლიერი ტკივილი იგრძნო, და რომ მოიხედა, ნახა, რომ იგი სასიკვდილედ დაჭრილი იყო დანით მკერდში და ფართე ჭრილობიდან ბლომად მოდიოდა თბილი სისხლი. ფეხები მოეკეცა ყმაწვილს და ის უსათუოდ დაეცემოდა იატაკზე, თუ რომ მოხუცს არ მიეწვინა თავის ფართე მკერდზე. „მე ვკვდები, იფიქრა ყმაწვილმა და იქვე დანახა თავის წინ ფრთიანი

ყმაწვილი უშუშენიერესის სახისა, თეთრ ტანისამოსში, გაბრწყინებული, როგორც თოვლი. ფრთიანი ყმაწვილი უთითებდა ხელს სტუდენტსა და ეუბნებოდა: „შენ გაათავე შენი საქმე, წამომყევი მე, სახლის მეუფე გეძახის შენ“.

გამოუთქმელი საამოვნების გრძნობა აღიძრა მომაკვდავის სულსა და გულში: ის შეშინდა, დაიყვირა და გამოეცვია!

იმის წინ, ანგელოზის ნაცვლად, იღვა მისი საყვარელი დაბა, რომელსაც ეჭირა ის ხელით, თავი თავისი მოხუცებული მამის გულზე ჰქონდა მიყრდნობილი; ხოლო დედა, უმცროსის ძმებითურთ დაწოილი ხატების წინ, ევედრებოდა ღმერთსა, რომ მას დაებრუნებინა მისთვის უფროსი ვაჟი. სტოლზე, ხატების წინ, სადაც ეკიდა ლამაზარი, იღვა „დაბადება“ დაცვეთილს ხავერდის ყდიითა.

— «მადლობა ღმერთს, რომ გამოვხიზლდი», უთხრა დამ, როცა ძმამ თვლები გაახილა.

საქირობა ავწყრობდა, თუ რანაირს აღტაცებაში მოვიდა მთელი ოჯახობა.

ყმაწვილი, მინდორში სიარულის დროს, დაიღალა და დაეცა, ის უსათუოდ დაიღუპებოდა, თუ რომ ერთს გლენეს, რომელიც მიდიოდა ამ დროს მინდორად, არ აეყვანა ის. როდესაც იცნო, რომ ეს უგრძნობლად დადებულ ყმაწვილი იყო მისი მღვდლის შვილი, კეთილმა გლენმა მოიყვანა სახლში, პირდაპირ მამასთან; სწორედ ერთი საათი დასკირდა სტუდენტის გრძნობაში მოყვანას.

ყმაწვილი მის აქეთ ცხოვრობდა დიდხანს, მარა თავისი სიხმარის კა არ აგიწყდებოდა მას არას დროს. მას ეს ჰქვევანა მიანიშნა როგორც სასტუმრო, რომლის კარების უკან გვიცდის ჩვენ მისი უხილავი პატრონი.

როგორც კი გაათავა კურსი სემინარიისა, სტუდენტი ეკურთხა მღვდლად და იყო კეთილის მოქმედი თავისი სამრევლოისათვის; ყოველი ღარიბი, მახინჯი, უჭირისუფლონი მასში ჰპოებდნენ ჰესმარიტს მამასა. ის არ ზოგავდა ფულებს კეთილ საქმეზე და თუმცა თვითონაც ღარიბად იყო, მაგრამ იმასაც არიგებდა, რაც ჰქონდა. როდესაც მეზობლები და ნათესავები უშლიდნენ მას ანაირს, როგორც ისინი უწოდებდნენ, უგუნურს სიუბეცს, — ის მუდამ ასეთ პასუხს აძლევდა მათ:

— ყოველი ეს არც ჩემია და არც თქვენი; ეს ყოველივე ეკუთვნის ქვეყნის პატრონს: ჩვენ ყველანი აქ სტუმრები ვართ და უნდა ვეწოდეთ ერთი მეორეს.

ასე ღრმად ჩაუჯდა სულში ყმაწვილს ეს სიზმარი.

## შურნალ-გაჭითობიდან

წინა წლებში ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო აპუხტინი, რომელმაც ძლიერ შეავიწროვა პოლშური ენა სასწავლებლებში. ამ ენამ დაპკარვა გენმაზიტებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო საგნის უფლება. მისი სწავლება მოისპოა სრულიად უფროსს კლასებში, შერჩა მას თითო-ორიოლა გაკვეთილი მხოლოდ უმცროსს კლასებში, და რქაც სწავლობდა მარტო ის, ვისაც უნდოდა და ცალკე ფასის შეტანა შეეძლო; ახსნა მიდიოდა რუსულს ენასზე. მასწავლებელს პოლშურის ენისას სამსახური აღარ ეთვლებოდა, პენსიას ვერ ეღირსებოდა და ჯამაგირიც ცოტა ჰქონდა. მასწავლებლებად მწყესდებოდნენ უეიციანი კაცნი: რომელთაც არაფერს საქმის რიგიანად გაცეთება არ შეეძლოთ. პოლშურის ენის ბალებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ კლასიდან კლასში გადაცანისათვის, და მოწმობაშიაც არ იხსენიებოდა. — პოლშელებს ძალიან უყვართ თვიანითი ენა, ისტორია და ლიტერატურა და ამიტომ დიდად გულს ატკენდა მათ ასეთი მდგომარეობა სამშობლო ენისა სასწავლებლებში.

მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, ბოლოს წლებში ძირეულად შეიცვალა პოლშურის ენის მდგომარეობა. აი, რასა ვკითხულობთ რუსულის გაზეთის **Несравно** უკანასკნელს, მეათე, ნომერში:

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დავიანის შუამდგომლობის თანახმად, რომელსაც კულმსურვანუ სარწლი ადმოუწინა თავადმა იმერეტისსკამ, ზოლმის გერენად-გუბერნატორმა, ზოლმურის ენის სწავლება გამნახიებში ამაყადგან სრულად ახლას სიუჟუკელზე უნდა დამყარდეს: გაკვეთილები ეველა კლასში უნდა სრულდებოდეს ზოლმურს ენასზე, ზოლმური ენა შედის



სამსწავლო გეგმაში და ხდება ერთს უმთავრესს და სავალდებულო სახად (становится одним изъ важныхъ и обязательныхъ предметовъ), მის სწავლას ეწევა კლასეში. უმცროსი კლასების ზრდაში მთქმულია გრამტიკა, უფროსისში ისტორია ლიტერატურისა. სიგრძე ზღაპრის ენის ზრდაშია იმდენად, რგორც რუსულის ენისა.

ამასთანავე სანუგეშო ცვლილება მომხდარა სახალხო სკოლებშიც, წინაღ აქ პოლშურს ენას რუსულს ენაზედ ასწავლიდნენ, საგნებიც რუსულს ენაზედ ისწავლებოდა, ვაკეთებდნენ პოლშურის ენის იყო მცირე—სამი კვირაში. ახლა-კი სხვანაირად ლატრიალებულა საქმე. იგივე ვაზეთი განაგრძობს: „სასაღხო სკოლების მსწავლელებს მიუდათ ცირკულიარი სამსწავლო მთავრობისკან და მასთან ასლი გეგმა სწავლების, რომლის ძალით ზღაპური ენის გაკვეთილები ერთა ორად არის მომტკულები. სინგლად სამი გაკვეთილის კვირაში დანიშნულა ექვსი გაკვეთილი; ამასთან სწავლება ზღაპური ენის ამავე ენაზედ უნდა სწავლობდეს. ოთხს სკან შორის, რომელსაც სწავლას სკოლებში, ორი—რუსული ენა და ანთიუტეკა სწავლებს რუსულს ენაზედ და ორი—ზღაპური ენა და სდმრთო სწავლება—ზღაპურს ენაზედ“.

თუმცა ბ-ნს სარდალს ინგლისის ჯარისას უკვე გუშინვე მოახ ენეს, რომ ბურების ის რაზმი, რომელსაც ეხლა უკრბდა თავ-დასხმას, მცირეაო, მაგრამ სიფრთხილისათვის მიუახლოვებოდა თუ არა ცხვარ წამოწვდებოდა კლდეს, ადგილმდებარეობის დასაფარებლებიდან აქ თიქით მინც მზვრები გაკვზანა.

— ვიდრე კარგადა არ გავცდებით იგერ იმ წამოწვდილს კლდის ცაჰირს, თითის გაშვებით მოახსენა სარდალს უკვე დაბრუნებულმა უფროსმა მზვერავმა: ბურები ვერ დაგვანახვენ. ისინი არხენიად დაბანაკებულან შატარა გორაკის ძირას და სრულიად არ ეტყობთ, რომ მიგვედოდნენ. კარვების წინ ვახადებულ კაცონებთან მარტო დედაკაცები ფუსტუსებენ, როგორც ეტყობოდათ, ხვან დედაქსანწაუღონისათვის შუადბამი არინ. კაცებს აღბად კარვებში სძინავთ, ან იქნება ხვადის დედაქსანწაუღონის ორთვებიან...

— ძალიან კარგად დაინახე, ბ-ნო სარდალო, აგერ იმ კლდის წვეროდგან,—გააწვეტინა ლაზარაკი უფროსს მავკანინამა მზვერავმა, კარვებში გამოტოილი ვეებერთელა ბურები.

— ძალიან კარგი.—ჭბრძანა სარდალმა,—მცირე მოფიქრების შემდეგ. აბა დაამზადებოზარბანები და აგერ იმ კლდისკენ გასწოთ, ცოტად გასცდებით თუ არა, გარდით; არამც და არამც ბურებს არ დაენახათ. თქვენ-კა, მიუბრუნდა სარდალი ცხენოსან ჯარის უფროსს.—ამ იყავით, ქვეითა ჯარ-კი, თან გამომეყვეს! ბურების ჯარი გამოიმდგება თუ არა ჩვენს, მიუბრუნდა ხელ-ახლა ცხენოსანთა უფროსს, თქვენ უკანადგან მოუარეთ, აგერ იმ ხეობით, და იმედი მაქვს, რომ თითქმის უბრძოლველად ჩავივდებით ბურებს ხელში. აბა გასწოთ, ფრთხილად-კი.


მშვენივრად იყო მოაფურებული ბრძოლის გეგმა და ინგლისელები უეჭველადაც გ იმარჯვებდნენ, რომ ბურებს თავიანთის ჯამუმების შემწყობით წინადმესვე არ შეეცუთათ მათი განზრახვა და თადარიგს არ შესდგომოდნენ. ბურებმა ამოად დრო ადრ დაჭკრკეს და იმავე დამეს დაფაცურდნენ: ხელად აათრიეს თავიანთი შატარა ზარბანბი გასავლის აქით-იქით გორაკებზედ, სადაც ინგლისელებს უეჭველად უნდა გაველოთ და თვითაც ამ გორაკებს შეეფარდნენ. ჯერ არც-კი გარეჩრახებუდიყო, რომ ბურები, სულ განბუღნი, თოფებით ხელში ქვებს ამოჭყფარბოდნენ. შატარა ზარბანბები სრულიად არ განიჩყოდა იმ ქვეიდგან, რომლის ძირშიაც ამოეყენებინათ.

რამდენმამე ათასმა თოფმა სწორედ მამინ მოიღო გრიადი, რთფესაც ცხვარ წამოწვდილ კლდის ახლო მახად თავი ამოყუ თვით სარდალმა 10,000 კაცსამ. თოფებს მიჭვევა ხუთის ზარბანბის გრიადი; აირია თოფისა და ზარბანბის ხმა ერთმანეთში და ამითან ერთად აირია ინგლისელებთა ჯარი და აფრთხნენ ინგლისელების ზარბანბებში შემპული ცხენებიც. მხედარნი სცდილობდნენ შეეყენებინათ, მაგრამ ცდამ უნყოფოდ ჩაიარა; სამინელ მდგომარეობაში იყო ინგლისის ჯარ: მარცხნივ—დრმა დედე, მარ-

ჯვნივ—მტრის ტუკის სეტუვა. თუ ჯოჯოხეთა მართლად ისეთაა, როგორსაც ხატუვენ, ეს ადგილი იმ დროს სწორედ ჯოჯოხეთის წარმოადგენდა.

\* \*

სამი წარბაზანი, ოთხმოცამდის დაჭრილი და სამის ტუკე დარჩათ ბურებს, როდესაც ინვლისეფებმა უკან დაიწიეს და აჩქარებული ნახიჯით გასწიეს თავიანთ ბანაკისაკენ. გამარჯვებულ ბურების ხმა ბანაკში მყოფ დედებაკებმა შორიდგანვე იცნეს და გახანრეუდნენ გარედ გამოცვივდნენ მამაც მკომართა მისაგებულად.



### ახალი აქებია და შენა შენები.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა მრავალი წერილები, რომლებშიაც ზიზღს უცხადებენ „ივერიის“ ახლად მოვლენილს მწერალს „ახალ მოსულს“ იმ სამარცხვინო პოლემიკისათვის, რომელსაც იგი უწევს ბ. ჟორდანიას. სამწუხაროდ ამ წერილებს რედაქცია არ აძლევს ადგილს, თუმცა იგი სრულყოფილ თანხმება წერილების ავტორს და თავის მხრივაც უცხადებს უკმაყოფილებას „ახალ მოსულს“ იმ სამარცხვინო საქციელისათვის მწერლობაში, რომელსაც იგი ჩადის „ივერია“-ში ბ. ჟორდანიას წინააღმდეგ. როგორც წერილების ავტორს ისე ჩვენს რედაქციასაც გასაკვირვლად მიაჩნია, რომ ბ. ი. ტუაქვაძემ ასე ათარეშებს ამ მწერალს თავის გაზეთის ფურცლებზე. ყველა მოუთმენლად ელრს, რომ ნიღაბი ჩამოხადოს ამ ახირებულ მწერალს...

\* \*

საღმრთო-სჯულის სასწავლო წიგნი სამრევლო და პირველ დასაწყის სასწავლებლებში რუსულ-ქართულ ენაზედ ხმის ამაღლების ნიშნებით, შვენიერ ქალღმრთელ დაბეჭდილი უკვე მზად არის და ყველა მსურველს შეუძლია მიიპოვოს. ვინც თვით „მწყემსი“-ს რედაქციისაგან დაიბარებს, მას მანეთზე 20 კაპ. დაეთმობა.

\* \*

ჩვენს საექსარხოსო სასულიერო უწყებაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

\* \*

მაისიდან თვლისის და ქუთაისის სემინარიებში იწყება ეკსამენები და ამ თვის 27 თავდება.

\* \*

ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონი ავითმყოფობისა გამო ორი თვით ბორჯომის წყლებზე მიბრძანდება საქეიმოდ.

\* \*

ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსი გრიგორი, როგორც ჩვენ შევიტყუეთ, მარტვილში მობრძანდება.

\* \*

დაბა ყვირილაში გზაზე იპოვნეს სამი-ოთხი გოჯა პრტყელი რიყის ქვა, რომელზედაც არის მშვენიერად ამოკრილი მხედარი კაცის სახე მისი შესამჩნევი ქუდით და ირგვლივ კი იწროვლიფური წარწერა აქვს ორ სტრიქონად. ეს შესანიშნავი ქვა „მწყემსი“-ს რედაქციაშია დღეს.

\* \*

ბ. ფ. ყაზბეგმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამოგზავნა მისგან შეგროვილი 350 მან. ეს ფულები „ცნობის ფურცლის“ სიტყვით უნდა მოხმარდეს ქართული საგალობლებისა და სიმღერების ნოტების დაბეჭდვას. ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ბ-ნ ყაზბეგს ფულების მოგროვება, ასე რომ, იმედია, ამ სიმპატიური მიზნისათვის უფრო მეტი თანხა შეიკრიბება.

\* \*

შავი ქვის წარმოების საქმე მეტის-მეტად გაძლიერდა. ჩვენდა სამწუხაროდ მარგანეცის პატრონები ვერ შეთანხმდნენ და ამით უცხოელნი ვაჭარნი სარგებლობენ და იაფად ყიდულობენ ქვას.

\* \*

ბლადოჩინი მღვდელი ნესტორ შენგირაძე დაითხოვა კანტორამ თანამდებობისაგან, რადგან ის სხვა საბლადოჩინო მასრიდან იყო დანიშნული ბლადოჩინად.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრუნავებსა და ვითილ- სწავლასზე.

სააღდგომო საუბარი.

განმარტება ბრწყინვალე აღდგომის ზოგიერთ ეპიკურსაჲს ჩვეულებათა მნიშვნელობას.

ქრისტე აღდგა!

დიდება აღდგომისა შენსა ქრისტე მაცხოვარ!  
 რა გამოუთქმელის სიყვარულით, აღფრთოვანებუ-  
 ლის სიხარულით და აღტაცებით ეგებება მორწმუნე  
 ქრისტიანე კაცი შენს ბრწყინვალე აღდგომის დღე-  
 სასწაულ დღეს! რომელი ენა გამოსთქვამს, ანუ  
 რომელი კალამი აღწერს იმ განუხსოვრებელ—უზო-  
 მო სიხარულსა და მზიარულებასა, რომელსაც  
 გრძნობს გული ქრისტიანისა ბრწყინვალე დღესას-  
 წაულის საგალობელის სმენითა: «აღდგომისა შენსა  
 ქრისტე მაცხოვარ, ანგელოსნი უგალობენ ცათა  
 შინა»... სიხარულით თვალებში ცრემლი მოგდის—  
 და უნებლიედ გასცქერი ცაში ვარსკვლავებსა, რომ-  
 ლებოც ანგელოზებად გემეგებინან და ჰგონებ, ვი-  
 თომც ისინიც ერთად შენთან ლაღადებენ ამ გულის  
 დამატებობელ საღმრთო გალობას! დიად, ძმანო,  
 დღესასწაული აღდგომისა თვისის ეკლესიულის წეს-  
 რებითა და ჩვეულებებითა მეტად სასიხარულო და  
 საგულისხმოა ქრისტიანეთათვის და ამიტომ, რო-  
 გორც მღვდელს, საღმრთო მოვალეობად მიმაჩნია  
 ვანგეიმარტო თქვენ ამ დღესასწაულის მნიშვნე-  
 ლობა. აღდგომის დღესასწაულის შესაფერ საღმად  
 ჩვენ გვაქვს დადებული წმიდა ეკლესიისაგან შემ-  
 დეგი სიტყვები: „ქრისტე აღდგა!“ — „ქეშმარიტად  
 აღდგა.“ ამ წესით ჩვენ ვბაძავთ იესო ქრისტეს პირ-  
 ველ მოწოდებას, რომლებიც ქრისტეს მკვდრებით

აღდგომის შემდეგ მუსაიფობდენ ერთმანეთთან და  
 ამბობდენ: „ქეშმარიტად აღდგა უფოლი!“ (ლუკა  
 24, 14—35). ჩვეულებრივის საღმრთო შემდგომ ჩვენ  
 კიდევ ამბობს უყოფთ ერთმანეთსა. საზოგადოდ  
 ცხოვრებაში, ამბობება არის შემოღებული ნიშნად  
 ურთიერთის გულითადი სიყვარულისა. ასეთივე მნი-  
 შვნელობა აქვს ამბობებას ამ დღესაც, მაგრამ ამ  
 დღის ამბობება უნდა იქნეს განსაკუთრებით წმიდა,  
 უმათკო და სავსე სრულის ქრისტიანულის სიყვარუ-  
 ლითა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობება იქნება  
 მსგავსი იულის ამბობებისა. შემდგომად ამბობებისა  
 — ვასაჩუქრებთ ერთმანეთს კვერცხებითა. რას ნიშ-  
 ნავს კვერცი? კვერცი არის მომასწავლებელი ნიშანი  
 ჩვენი მომავალი მკვდრეთით აღდგომისა. როგორც  
 მაგალითად, კვერციდან, რომელზედაც რამდენიმე  
 დღე აჯდის ქათამი და გამოდის იქიდან ახალი არ-  
 სება (წიწილა), რომლის სიცოცხლაც დაფარული  
 იყო ხეკოთი, ისე დადგება დრო, რომ ყოვლად  
 შემძლებელის ღვთის მოქმედებით პირველ ხმისათა-  
 ნავე მთავარ-ანგელოსის საყვირისა, ჩვენი ხრწნადი  
 სხეულიც გამოვა გულისაგან დედამწიწისა და შეი-  
 ნებება უხრწნელებითა. რა დროიდან ანუ ვისგან  
 არის შემოღებული კვერცხით მილოცვა? ეს ჩვეუ-  
 ლება ეკუთვნის უხველეს დროს. ძველ დროში,  
 შესანიშნავ დღესასწაულ დღეებზე ნიშნად პატრიის  
 ცემისა მდიდართა, მეუფუროსეთა და მოწყალეთა  
 ღარიბნი ასაჩუქრებდენ კვერცხებითა. ქრისტიანეთა  
 შორის იგი არის შემოღებული მოციქულთა სწო-  
 რის მარტომ მადღალონდელისაგან. ქრისტეს აღდგომის  
 შემდეგ, როდესაც მარტომ მისულა ქ. რომში სხა-  
 რების საქადაგებლად, წამდგარა იმპერატორის ტი-  
 ბერიოსის წინაშე, მიუთმეგია წითელი კვერცი და  
 უთქვამს: „ქრისტე აღდგა!“ მეგრე რა მიზეზით, ანუ  
 რა შემთხვევით არის შემოღებული ეს ჩვეულება  
 ქრისტიანეთა შორის? ამის შესახებ აი რას მოგვით-  
 ხრობს საღმრთო გარდმოცემა:

„თვით ქრისტეს აღდგომის დღეს, როდესაც  
 ყველა ურიანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაც-  
 ხოვარი მკვდრეთით ვეღარ აღდგებოდა, ერთ ურის  
 მიჰქონდა კალათით თეთრი კვერცხები ბაზარში  
 გასასყიდათ. ამ ურისაგან გზაში შეხვედრია ქალაქიდან  
 მომავალი სხვა ური და უთქვამს:

—მეგობარო, არ გავიგია რა გასაოცარი ამბავი  
 მოხდა ჩვენს იერუსალიმის ქალაქში?



—რა ამბავი?  
 —იესო ქრისტე, რომელიც ამ სამის დღის წინეთ მოკვდა, არ კი აღდგა მკვდრეთით!

—მატყუებ?  
 —არა, ვადაი, უნახავსთ აღდგომილი ქალებსაც და კაცებსაც.

—მე მაინც არ დავიჯერებ. ეგ ისეთი შეუძლებელი ამბავია, როგორც ისა, რომ ამ კალათში ეს თეთრი კვერცხები ეხლავე თავის-თავად არ გაწითლდებიან“. მაგრამ ოპ, საკვირველებავ! ურიის ჯერ კიდევ თავისი სიტყვები არ დაესრულებია, რომ კალათში თეთრი კვერცხები გაწითლებულიყვნენ. საკვირველებით თავზარადცემულმა ურიამ დაუფრანგებლივ მიიღო ქრისტეს ხარწმუნობა. ამბავი სასწაულთ-მოქმედებისა ელვის უსწრაფესად მოედდა მთელს ქრისტიანობას და სახსოვრად ამაღირს შესანიშნავ შემოხვევისა იქიდან ვიდრე აქამომდე შემოღებულია წითელი კვერცხის კვლევა აღდგომა დღეს. კვერცხის წითელ ფერს კიდევ სხვა განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს. იგი მოასწავებს ქრისტეს ცხოველს მყოფელს სისხლსა, რომელიც დასთხია მან ჩვენისა ცხოვრებისათვის და გვიხსნა მონებისაგან სიკვდილისა და ჯოჯოხეთისა საუკუნოდ. აი, ძმანო, მნიშვნელობა იმ წეს-რიგთა და ჩვეულებათა, რომელნიც ვვაქვს ჩვენ დაწესებული წმ. ეკკლესიისაგან ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის დღესა.

მღვდელი მიხეაელ გაგაშელავი.



**გოლგოთაზე.**



ოლგოთაზე გვიწვივს დღეს წმ. ეკკლესია, იქით არის მიმართული გონება და გული ეოველთა ქრისტიანეთა; იქ წავიდეთ, საბრალო სულა ჩემო, შეიძლება იქ შენთვისაც ძიონახოს ადგილი, შე ძლება შენც იხილო და გაიგო რაძე, აი ჯვარზე იტანჯება ძე ღვთისა,

რომელიც თავის ნებით ეგნო ჯვარზე; ცის სიმაღლიდან დასცქერის გოლგოთას ძამად მტრითი, რომელიც მართლმსაჯულებისა გამო სწირავს ჯვარზე თვის მხოლოდ შობილ ძეს, სიუვარულობით იწირავს ჯვარზე მის ვნებას; შეციურ ძაღთა კრებული გარს ანტყვია ჯვარს დიდის კრძალულებით. ჯვრის ძირში, მაცხოვრის სისხლის ნაჯადღუში, კრთიან ძელები აღძმისა, რომელიც მწწის, ხედავს-რა, რომ ცოდვისაგან მისი დახსნისათვის საჭირო შეიქმნა მხოლოდ შობილი მის ჯვარზე ვნება. მაგრამ შენ ვერ მისწვდები ამ საიდუმლოებას, საბრალო სულა ჩემო; შენ ჩაფლული ხარ უსჯულოებთა შინა, ვერასოდეს ვერა გრძნობ შენი ცოდვის სიმძაქს და სამაკლობას. შენ მოკლებული ხარ სულიერ მხედველობას და ტაგებას; შენ ვერ შეიგნებ დაუძრეტელ სიუვარულს ღვთის ძისას, რომელიც ჯვარზე ეგნო კაცთა ცოდვებისათვის; შენ ვერ იგრძნობ სიმძიმეს ცოდვებისას, რომელთაგან გამოხსნისათვის საჭირო შეიქმნა ასეთი დიდი მსხვერპლი. ვაი საბრალო და ბრმაო სულა ჩემო! რ ს იხილავ და ან რას გაიგებ შენ გოლგოთაზე, ან შენთვის ადგილი იქნება იქ თუ არა? აი უხმოდ სდგას ჯვარცმული იესოს წინ ე-დ წმიდა დედა მისი, რომელმაც ანგულოხისაგან გაიგო, რომ ძე მისი არის ძე შეციური ღმრთისა; უხმოდ შესცქერის ჯვარზე მსხვერპლს, მტკიცედ სწამს, რომ მის ძეს საუკუნოდ მიეცემა ტანტი მისი ძამის დავითისა; და ჯამდგომარეობაშია მისი ერთგულება ღვთისადმი, რა მდგომარეობაშია მისი დედობრივი სიუვარული ძისადმი; ნუ თუ შენ შეკიდული ეოველივე ესეები შეიგნო, სულა ჩემო, და-



რობო სარწმუნოებით, რომელმაც არ იცი მოთინება და ერთგულება ღვთისადმი? ვაი, უბადრუკო სული ჩემო, შენ იესოს დედანთან ერთად აღვილი არა გაქვს კოლგოთაზე.

აი იესოს ჯვართან სვლას საყვარელი მოწაფე მისი, სვლარან ქრისტესათვის თავდადებული დედანი. როგორ სწუხს მათი სათუთი, მოსიუვარულე გული, როცა ხედავენ საშიშარ წვალებათა, როცა წარმოიდგენენ, რომ სრულებით უდანაშაულოდ ივნება იესო, შენ ვერ გაიგებ ამას; უბადრუკო სული ჩემო; შენ ანთებული არ იყავი ქრისტესადმი სიუვარულით, არ მიჭყევი მას, არ ემსახურებოდი მას მსურვალეს გულით და ერთგულობით; შენი გულის სიღრმეიდგან არ წარმოდინდება მწარე ცრემლები მწუხარებისა იმის შესახებ, რომ შემოქმედი ცისა და ქვეყნისა ეწამება ჯვარსზე, რომ უუტკბილესი იესო, ნუგეში მწუხარეთა, განსასვენებელი მამრალთა, ცხოვრება ცოდვილთა, იქანცება ჯვარსზე შენი სიუვარული სათვის. ვაი, საბრალე სული ჩემო, შენ ადვილი არა გაქვს კოლგოთაზე არც უფლის საყვარელ მოწაფესთან და არც ქრისტესათვის თავდადებულ დედებთან.

კოლგოთის სანასაობის სცეკრლად მიღის უსაქმო ხალხთა გროვა, მაგრამ ეს უსაქმურნიც თვალს ვერ უჩერებენ იესოს ჯვარსზე წამებას და მათი გულიც სკდება მწუხარებისაგან. ვაი, საბრალე სული ჩემო, ვოველ დღე ხედავ შენ ქრისტეს ჯვარს, ხშირად ეკმის ჯვარცმულის წამება შენი გულისათვის, მაგრამ მინც არ ძრწის შენი გაქვებული გული, გულგრილად ისმენ, უუზრადლებოდ იცქირები, უუზრადლებოდ მიდისარ ქრისტეს ჯვრის მან-

ლობლად. ვაი, უბადრუკო სული ჩემო, შენ უარესი ხარ ხალხის უსწავლელ გროვასე და ამიტომ მათთანაც არ გაქნება შენ კოლგოთაზე ადვილი.

სვლარან ჯვარის წინ უსჯულონი, რომელთაც არ უწვიან სარწმუნოება, გულმკუბრალეებნი არიან, გულგრილად და დაცინვით მესცქერიან ღვთაებრივ წამებულს, როგორც ჩვეულებრივ კაცს. ვაი, საბრალე სული ჩემო, აი იმათთან გაქნება შენ ადვილი კოლგოთაზე. ცოდვილმა ცხოვრებამ მთლად ჩააქრო შენა სარწმუნოება, გააქვავა შენი გული. შესახებ ღვთისა, შესახებ მის საიდუმლოთა და მისი წმიდა სიტყვისა, შენ ისე გულგრილად ხარ როგორც უსჯულონი, მაგარია შენი გული როგორც ქვა. ვაი, უბედურო სული ჩემო, რისთვისღა უწოდებ შენს თავს ქრისტიანს?

კოლგოთის მახლობლად მიღის გროვა ღვთის მკვლელობა და ბოროტად გამობენ ჯვარცმულს. მიღის გროვა უზრდელ კაცთა, რომელთაც წინეთ ასილეს სასწაულები ქრისტესი, და ღვთის მკვლელობა მსგავსად ისინიც აუკებენ ქრისტესს. ვაი, საბრალე სული ჩემო, იმათთან ხომ არ გაქნება შენ ადვილი კოლგოთაზე? შენ აღზრდილი ხარ ქრისტეს მიერ, ცხებულ ხარ მისი სისწლით, აღბეჭდილ ხარ სული წმიდისაგან, მაგრამ შენში არ არის ტკიცე სარწმუნოება, არ არის განება და სიუვარული, ღვთის საკმობლად იმეორებ ღვთის მკვლელობა გამობას, ადვილად გიხიდავს მასწრად აკდება და სარწმუნოების წინააღმდეგი მსჯელობა და სწავლა ქრისტეს მოწინააღმდეგეთა. ვაი, საბრალე სული ჩემო, ვინ

დაივიწყო, ვინ უარჯობა შენ, ვის უტეხე უფროს, ვის ბაძუ, შე უჭკუო! ღვთის მკვლელებთან და ღვთის მტოხბელებთან არის შენი ადგილი გოლოგოთასზე და საუკუნო მომავალიც მათი მსგავსი გექნება.

აი, გესმის, სულა ჩემო, ურწმუნო მხედარმა იცნო და აღიარა ჯვარცმულში მე ღვთისა; მუდამ ბოროტებაში გაქსუებულია გულმა ავასკანისმ ივრძნო ღვთაებრივი ძალა წამებულისა და ვედრებით კილო კარი საძოთისისა. ამის შემდეგაც კიდევ იქნები შეუსმენელი, მანაც კიდევ იქნება შენი გული უგონობელი? დაუარდეთ ჯვარცმულის წინაშე, უბედურო სულა ჩემო, და ვიტყვით მის წინაშე.

შეძიბრაღე მე, მეო ღვთისაო, განმაცხოვრე მე შენი სარწმუნოებით, მეუწიეველი სარწმუნოებით, რომ ეკლასზე უბღლესი იყოს ჩემთვის შენი სიტყვა, უძვირფასეს ეოველივესე შენი წმიდა სიტყვა, შენი წმიდა ეკლესია, რომელიც დადგინე შენ შენი წმ. სისხლით.

შეძიბრაღე მე, მეო ღვთისაო, დასთრეუნე ცოდვებში ჩემი გაქვავებული გული, ალახე იგი სიუვარულით შენდამი; ალახე იგი ქვეყნის ულაძახესი შეწიერებით, სიკუდილის უძლიერესი შიძით, უძლიერესი სისხარულით.

შეძიბრაღე მე, მეო ღვთისაო, დაიფარე ჩვენთვის ჯვარცმული, რომელმაც კაცთათვის დახმოსა შენი ეოვლად წმიდა სისხლი, რომელმაც ჩვენთვის დაითმინა საშარცხენის სიკვდილი, დაითარე საუკუნო განსჯისაკან მე პირველი ცოდვილთაგან და ღირს მეუ ავასკათან ერთად შენი საუკუნო სასუფივისა.

**წარილი რადაციონალი.**

მ. რე.! დიდი სინა, რაც ჩვენ აქ გამოხვეწილი ქართველები ვსარგებლობდით მუქთად ქართულ უფრნდ-გასუებით, რომელთაც ნატოევემუდნი რედაქტორები უფასოდ გვაგზავნიდნენ. მაგრამ სულ ეოველთვის მუქთად სარგებლობა და უფასოდ გზავნა ცოტა არ იყო სანთითროთ შეგვექნა მას შემდეგ, როცა ზოგიერთებმა სმები დაჭყარეს, რომ ციმიბრმა ოქრო სახვეტად ანისო. იმასკი შეიტყობს ზოგიერთები, თუ როგონი სახვეტია აქ ოქრო და ვერცხლი. ამისთვისაქ მცხოვრებმა ქართველებმა ეეგამ ერთად გარდაგსუფრეტო შეგვექნა იუ-ლები და გამოგვეწერა ქართულ უფრნდ-გასუებით. მართლაც ამ შემთხვევაში უფრო თანაკმობა ადმოგვიანა და რიბებმა ვინემ შეძლებულებმა. სულ შეგროვდა ცნ-და-ოთხი მანეთი. ეს იულები შემიტანეს შემდეგამ ზირებმა: დავით შოღვეამემ 5 მან., სამსონ ჩინწადაემემ 3 მ., ლევანტი კიანსემემ 2 მ., ტარიელ ხურციამემ 2 მ., ალექსანდრე მსიქიმემ 2 მ., გიორგი იდიშვილის ნატარა ჭაღმა ნინიმემ 2 მ., ლევან ჩხრიკაშვილამემ 2 მ., ივლიანე ხანწდავამემ 3 მ., აბრამ კვირკვილამემ 3 მ., სულ შედგა 24 მან. ტელეგრაფიში დამესწავა 3 მ. 45 კ. ფოსტის მარკებში და იულებმა გამოგზავნა ერთი მანეთი 55 კ. ამის დასამტკიცებლად ვგზავნი ტელეგრაფის და ფოსტის რასწისკებს. გიბავნიბთ ამ 19 მანეთს და გთხოვთ გამოგვიგზავნონ თქვენი გამოტყმა, „გაგლისა“ უფრნალი და „ერთებუდნი“ ავაკის ამ 1900 წელში.

თქვენი... დასჯილი ქართველი.

დიდის კმაყოფილებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას, თუმცა ჩვენ ვანო არდიშვილის საშუალებით უკვე ვგზავნით ვლადივოსტოკში ქართველებს სმკითხველთათვის ჩვენს უფრნალს, მაგრამ არა მიმხვედველი ამის კიდევ ვაგზავნი მორე ცალსაც. რედაქტორი.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

**სალიბარატორო ბანყოფილება:** გოლოგოთამდე. — მწარე დეჭრები სოფლის ხუცისა. — ჩემი თევადასავალი. — შგანოშნავი სასტუმრო. — უფრნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.  
**სწავლად და მშენიარება ძრისტიანობის საკრძოფს.** და კითხვ-ჯნობა ზამ: — საადღვომო საუბარი, — გოლოგოთაზე წერილი რედაქციისადმი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლაშაშვიდი. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.  
Доставлено цензурою, Тифлиси, 27 Апрель 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елисеи  
Тифог. редакци журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаись, въ д. А. Дейсдзе на Нѣмецкой ул.